9 40/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. მაისის 5 № 7 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

26. „შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებისა, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

27. საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

28. გორის, ბორჯომისა და სტალინირის საქალაქო საბჭოების გამგებლობიდან საერთო სარგებლობის საავტობუსო მეურნეობის ჩამორთმევისა და მისი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

29. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში არსებული „ტრანსენერგოკადრების“ ტრესტის საქართველოს განყოფილების საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

30. საქართველოს სსრ ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა, რაიცენტრებსა და მუშათა დაბებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებს შორის სტალინის სახელობის სტიპენდიების განაწილების შესახებ.

32. თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ.

33. კოლმეურნეობებში 1940 წლის მოსავლის რამის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

საქ. სახ. საქ. სახელმწიფ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

26. „შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებისა, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სახალხო კომისარიატები, უწყებები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებასა და შენახვას.

ლითონის დამმუშავებელი მანქანათმშენებელი, სათბობი მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების მხრივ და აგრეთვე ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ცენტროლიტის და სხვათა მხრივ ადგილი აქვს ანტი-სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებისა, შენახვისა და გადამუშავების საკითხებისადმი. შავი ლითონების ნამტვრევის დახარისხება, გადამუშავება და შენახვა სავსებით მოუწესრიგებელია და თავმინებებულია, ხოლო ლეგირებული ფოლადის ნარჩენები შერეულია რიგითი ფოლადის ნარჩენებთან, რის გამოც იკარგება მალეგირებელი ელემენტები: ნიკელი, მოლიბდენი, ვოლფრამი და სხვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საწარმოებისა და ქარხნების დირექტორები, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები აშკარად არ აფასებენ ლითონის ნამტვრევის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, რომელიც მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენს ფოლადის ჩამოსასხმელად.

შავი ლითონების ნამტვრევის დამზადებისა და გადამუშავების საქმის გაუმჯობესების მიზნით, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I. ლითონის ნამტვრევის ნარჩენების დაგეგმვისა და აღრიცხვის დარგში.

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო-საგეგმო კომისიას შეადგინოს წლიური და კვარტალური გეგმები სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიერ ნამტვრევის სავალდებულო ჩაბარებისა.

2. საქართველოს სსრ სამეურნეო სახალხო კომისარიატების სახალხო კომისრებმა, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და ქარხნებისა და საწარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორებმა „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორისათვის შავი ლითონების ნამტვრევის ჩაბარება აწარმოონ ნამტვრევის ჩაბარების დამტკიცებული გეგმის სრული შესაბამისობით.

3. დაევალოს ცეკავშირს, „სოიუზუტილის“ საქართველოს კონტორას და საქართველოს სარეწაო საბჭოს მოაწყონ ლითონის ნამტვრევის დამზადება სოფელ ადგილებში და ქალაქებში მოსახლეობისაგან, სახლების სამმართველოებისაგან, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებისაგან და 1940 წელს „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორისათვის შავი ლითონების ნამტვრევის ჩაბარება გეგმის თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „გლავმეტალოსბიტის“ თბილისის კონტორას შეუმცირონ გამოყოფილი ფონდებით ახალი ლითონის გაცემა ნამტვრევის ჩამბარებელ იმ საწარმოებს, რომლებსაც შესრულებული არ ექნებათ „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორისათვის ნამტვრევის ჩაბარების გეგმა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს შემოიღონ ნამტვრევის გამოყენებისა და ჩაბარების გეგმების შესრულების აღრიცხვა დაწესებული ფორმების მიხედვით.

II. ნამტვრევის შეგროვებისა, გადამუშავებისა და გამოყენების დარგში.

6. დაევალოს ქარხნების, საწარმოებისა და მეურნეობების დირექტორებს, — ნამტვრევისა და ნარჩენების დანაკარგებისა, გაჭუჭყიანებისა და შერევის თავიდან ასაცილებლად, შემოიღონ ისეთი წესი ნამტვრევისა და ნარჩენების შეგროვებისა, შენახვისა და გადამუშავებისა, რომ ერთი მარკის ლითონის ნათალი და ნატეხი არ იქნას შერეული სხვა მარკის ლითონებთან, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თავიდან აცილებულ იქნას ნახშირბადოვანი ნარჩენების შერევა ლეგირებული ფოლადის ნარჩენებთან.

ამ მიზნით გამოცემულ იქნას ქარხნებისადმი ბრძანებები და დანიშნულ იქნან თითოეულ საამქროში პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან აღნიშნული წესის ცხოვრებაში გატარებისათვის.

7. ამ დადგენილების მეექვსე მუხლი გავრცელებულ იქნას დამზადებაზე, რომელსაც აწარმოებს კონტრაგენტურა (ცეკავშირი, „სოიუზუტილის“ საქ. კონტორა და საქ. სარეწაო საბჭო).

8. დაევალოს ქარხნებისა და საწარმოების დირექტორებს გამოჰყონ და შესაფერისად მოაწყონ სპეციალური მოედნები შავი ლითონების ნამტვრევის დახარისხებისა, გადამუშავებისა და შენახვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორამ დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საწარმოებს, ქარხნებსა და ორგანიზაციებს ინსტრუქცია შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებისა, შენახვისა და გაგზავნის წესის შესახებ.

10. „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორის მიმღებთ მიენიჭოთ შავი ლითონების ნამტვრევის ხარისხის, გადამუშავების, შეგროვების, შენახვისა და გამოყენების კონტროლის უფლება.

11. გადაეცეს სასამართლო ორგანოებს საქმეები თანამდებობის იმ პირთა შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან და არღვევენ ლითონის ნამტვრევის შეგროვების, შენახვის, გადამუშავებისა და გაგზავნის საქმის წესიერ დაყენებას.

12. დაევალოს ლ. პ. ბერიას სახელობის ა/კ-ის რკინიგზის სამმართველოს გააფართოვოს „გლავტორჩერმეტის“ თბილისის კონტორის მოედანი სამხრეთ პარკში და გამოუყოს კონტორას სადგურ წნორის-წყალსა და სადგურ ბათუმში ლიანდაგისპირა ნაკვეთები მეორადი შავი ლითონების გადამუშავებისა და გაგზავნის საქმის კონცენტრაციისათვის.

13 ნება დაერთოს საწარმოებისა და მეურნეობათა დირექტორებს ნამტვრევის რეალიზაციიდან შემოსული თანხების 15% მოახმარონ ნამტვრევის გადასამუშავებლად საამქროების მოწყობას და 5% ნამტვრევის შეგროვებისა და შენახვის საქმის გაუმჯობესებისათვის მომუშავეთა დასაჯილდოებლად.

14. შემოღებულ იქნას საქ. სსრ ყველა საწარმოში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წ. 21 თებერვლის „შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვების, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის ზომების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 4, მუხ. 124) გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული დებულება წარმოებებში შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებაზე და შენახვაზე მომუშავეთა დაპრემირების შესახებ.

აძლევენ რა ნამტვრევის შეგროვებისა და მისი რაციონალური გამოყენების საქმეს დიდ მნიშვნელობას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვენ ყველა სამეურნეო საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებისაგან მოახდინონ რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია და უზრუნველჰყონ ამ დადგენილების შესაბამისად ჯეროვანი ყურადღება ნამტვრევის შეგროვებისა, გაგზავნისა და გადამუშავების საკითხებისადმი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1940 წ. აპრილის 9, № 604.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. საწვავი მასალის ხარჯვის ნორმების გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 5 აპრილის № 462 დადგენილებისა „სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებში საწვავი მასალის ხარჯვის გადიდებისა და 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, გავრცელდეს მუხ. 31 სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებებისა „სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებში მტკიცე მოსავლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 48, მუხ. 278) — 1940 წლის საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე, სახელდობრ:

ა) გადიდდეს საწვავი მასალის ხარჯვის ნორმები საგაზაფხულო სამუშაოთა პირველ ექვს დღეში 10%-ის რაოდენობით საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებზე;

ბ) დაერიცხოს ტრაქტორისტებს შრომა-დღეები და ფულადი გასამრჯელო ორმაგი რაოდენობით საგაზაფხულო ხვნის სამუშაოების პირველ 6 დღეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1940 წ. აპრილის 15. № 637.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

28. გორის, ბორჯომისა და სტალინირის საქალაქო საბჭოების გამგებლობიდან საერთო სარგებლობის საავტობუსო მეურნეობის ჩამორთმევისა და მისი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

საერთო სარგებლობის საავტობუსო მეურნეობის სწორი ექსპლოატაციისა და წვრილი ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციების გამსხვილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოერთვას გორის, ბორჯომის და სტალინირის საქალაქო საბჭოებს საერთო სარგებლობის საავტობუსო მეურნეობა და გადაეცეს იგი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს მიიღოს გორის, ბორჯომისა და სტალინირის საქალაქო საბჭოებისაგან ექსპლოატაციისათვის ტექნიკურად გამოსადეგი საავტობუსო პარკი საავტობუსო მეურნეობის მთელი საწარმოებითურთ 1940 წლის პირველ აპრილისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით და მოაწყოს აღნიშნულ ქალაქებში მგზავრთა გადაყვანის მომსახურეობა 1940 წლის 20 აპრილიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 5. № 578.
თბილისი.

---

29. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში არსებული „ტრინსენერგოკადრების" ტრესტის საქართველოს განყოფილების საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

ვინაიდან ლიკვიდირებულ იქნა ტრესტი „ტრანსენერგოკადრები", რომელიც წინათ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იმყოფებოდა და აღნიშნული ტრესტის საწარმოები მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებს გადაეცა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს მიიღოს თავის გამგებლობაში რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისაგან 1940 წლის 1 იანვრისათვის არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მდგომარეობის მიხედვით ტრესტ „ტრანსენერგოკადრების“ საქართველოს განყოფილება ავტოსკოლებით (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში) და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კურსებითურთ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში თბოძალოვანი კადრების მომზადების სექცია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 5. № 579.
თბილისი.

---

30. საქართველოს სსრ ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა, რაიცენტრებსა და მუშათა დაბებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ქალაქების გასუფთავების, კერძოდ დასახლებული ადგილების ტერიტორიიდან ნაგავის გატანის საქმე ჯერ კიდევ არა სდგას სათანადო სიმაღლეზე.

ქალაქების უმრავლესობაში და განსაკუთრებით ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და რაიონულ ცენტრებში მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტები ყურადღებას არ აქცევენ დასახლებული ადგილების სისტემატური და გეგმაშეზომილი გასუფთავების საკითხებს; გამოყოფილი არ არის სათანადო ნაკვეთები გატანილი ნაგავის გადასაყრელად, ხოლო იქ, სადაც ეს ნაკვეთები გამოყოფილია, აღმასრულებელი კომიტეტების მხრივ სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის უქონლობის შედეგად, ხშირად ეწყობა დამატებითი უკანონო ნაგავსაყრელი ადგილები.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თხევადი სიბინძურის გატანა არაკანალიზებულ დასახლებულ პუნქტებში, რაც ქუჩებიდან, მოედნებიდან და სახლების ტერიტორიებიდან მაგარი ნაყარის უსისტემო გატანასთან ერთად ჰქმნის ეპიდემიური დაავადების, კერძოდ კუჭ-ნაწლავების დაავადების, გავრცელების უშუალო საფრთხეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტო-

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1940 წ. 25 აპრილამდე მოაწყონ ქალაქების ტიპის დასახლებული ადგილების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების ტერიტორიების გენერალური გასუფთავება მაგარი ნაყარისა და თხევადი სიბინძურისაგან, ამასთან გახსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების, საწარმოებისა და ბაზრების შინასასახლო და საეზოე ტერიტორიების გასუფთავებას;

ბ) ერთი დეკადის ვადაში მოიყვანონ სამუშაო მდგომარეობაში მთელი არსებული საავტომობილო და საჭაპანო ტრანსპორტი, გამსუფთავებელი მოწყობილობა და ინვენტარი;

გ) ერთი თვის ვადაში გამოსცენ სავალდებულო დადგენილება რეგულარული და გეგმაშეზომილი გასუფთავების ჩატარებისა და ქუჩების, მოედნების, საეზოე და შინასასახლო ტერიტორიების სუფთად შენახვის შესახებ;

დ) ერთი დეკადის ვადაში გამოჰყონ ნაკვეთები ნაგვის გადასაყრელად იქ, სადაც ასეთები არ მოიპოება, და მიიღონ გადამწყვეტი ზომები უკანონოდ თვითნებურად მოწყობილი ნაგავსაყრელების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის;

ე) ერთი თვის ვადაში ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მოსმენილ იქნას მოხსენებანი ქალაქების, რაიცენტრების, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა და მუშათა დაბების გასუფთავების მდგომარეობის შესახებ და დაისახოს ღონისძიებანი დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთან ჩაბმულ იქნან ამ საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები და ფართო საზოგადოებრიობა.

2. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ყოველთვიურად გამოჰყონ საჭირო რაოდენობის საწვავი მასალა დამსუფთავებელი ავტოტრანსპორტისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1940 წ. აპრილიდან დაწყებული, ყოველთვიურად გამოუყოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს 15 ტონა ბენზინი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დასასუფთავებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ორი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და ადგილებს მიაწოდონ ინსტრუქცია დასახლებული ადგილების გასუფთავების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს რეგულარული კონტროლი გაუწიოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას დასახლებული ადგილების გასუფთავების საქმეში და გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწიონ იმ მხრივ, რომ სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში იქნას შენახული დასახლებული ადგილების ტერიტორია ქალაქებსა, რაიონულ ცენტრებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და მუშათა დაბებში.

6. 1940 წ. მაისში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატის მოხსენება ქალაქების, რაიონული ცენტრების, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა და მუშათა დაბების გასუფთავების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 5. № 583.
თბილისი.

---

31. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებს შორის სტალინის სახელობის სტიპენდიების განაწილების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო 1940 წლის 25 მარტის დადგენილებისა „სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესის თაობაზე გამოცემულ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ-ისათვის დაწესებული სტალინის სახელობის 75 სტიპენდია განაწილდეს საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებს შორის შემდეგი წესით:

ა) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს — 45 სტიპენდია, აქედან: საქართველოს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს — 30; ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 6; სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 4; სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 1; გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს — 2; ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტს — 1 და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს — 1 სტიპენდია;

ბ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს — 12 სტიპენდია, აქედან: საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს — 10 და საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს — 2 სტიპენდია;

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს — 12 სტიპენდია, აქედან: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს — 10; თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტს — 1 და თბილისის ფარმაცევტიულ ინსტიტუტს — 1 სტიპენდია;

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს — 5 სტიპენდია, აქედან: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას — 2; თბილისის სამხატვრო აკადემიას — 2 და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს — 1 სტიპენდია;

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს — 1 სტიპენდია ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კიკნაძეს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარს — ამხ. ხოშტარიას, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ამხ. ფიცხელაურს, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს — ამხ. გოგუას და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. სხირტლაძეს არაუგვიანეს 20 აპრილისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს იმ ყველაზე გამოჩენილ ფრიადოსან სტუდენტთა სიები, რომლებსაც სტალინის სახელობის სტიპენდიები დაენიშნებათ, ამასთან მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 25 მარტის № 399 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესის შესახებ“.

3. დაევალოს ამხ. როსტიაშვილს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 10. № 596.
ობილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ.

მთლიანად საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს აჭარის ასსრ მეთამბაქოობის რაიონების, ლაგოდეხის, ყვარლის, სიღნაღის, წითელწყაროს, გურჯაანის, ბორჩალოსა და ლუქსემბურგის რაიონების კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომლებმაც შეასრულეს 1939 წლის მოსავლის თამბაქოს ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებანი; თავისუფლად გაჰყიდონ გარდამეტი თამბაქო ადგილობრივ ბაზრებზე, რკინიგზის სადგურებსა და საწყლო გემთმისადგომებზე, უკეთუ თამბაქოს მიტანა გაყიდვის ადგილას დაკავშირებული არ არის რკინიგზით ან წყლის ტრანსპორტით გადაზიდვასთან.

2. დამზადების სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობის გამო, თამბაქოს თავისუფლად გაყიდვის ნება არ მიეცეს აფხაზეთის ასსრ რაიონებს, აგრეთვე ზუგდიდისა და ჩოხატაურის რაიონებს.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „თამბაქოს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 25 აგვისტოს დადგენილების 1 მუხლი (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 19, მუხ. 79).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 13. № 630.
თბილისი.

---

33. კოლმეურნეობებში 1940 წლის მოსავლის რამის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 4 მარტის № 306 დადგენილებისა „1940 წლის მოსავლის ტექნიკური და სპეციალური კულტურების კონტრაქტაციის გეგმების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობებში 1940 წლის მოსავლის რამის უფოთლო ღეროების კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 14854,8 ტონის რაოდენობით, ამასთან კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა შემდეგნაირად განაწილდეს ცალკეული რაიონების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	რაიონების დასახელება	მოსავლის ასაღები ფართობი (ჰექტაროობ.)	რამის ღეროების კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ტონობით)
1	აბაშის	385,85	4265,1
2	ცხაკაიას	201,60	2380,5
3	წულუკიძის	226,69	2398,0
4	ვანის	106,26	1086,7
5	სამტრედიის	118,54	1094,6
6	ზუგდიდის	63,13	820,7
7	გალის (აფხაზეთის ასსრ)	75,64	895,5
8	ხობის	59,14	581,8
9	ქუთაისის	74,48	945,3
10	სიღნაღის	19,33	386,6
		1330,66	14.854,8

2. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ცალკე თითოეული კოლმეურნეობის მიხედვით დააწესონ რამის ღეროების კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა თითოეულ კოლმეურნეობაში არსებული რამის პლანტაციების შესაბამისად, პლანტაციების ასაკის გათვალისწინებით.

3. შენარჩუნებულ იქნას 1940 წლისათვის რამის ღეროების კონტრაქტაციის 1939 წელს მომქმედი პირობები და წესი, დასამზადებელი ფასები და ჯილდო-წანამატები.

4. წინადადება მიეცეს ტრესტს „საქრამიფეიქმრეწვს“ 1940 წლის 1 მაისისათვის დაამთავროს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება.

კონტრაქტაციის ჩატარებისათვის კონტროლის გაწევა დაეკისროს ცხაკაიას სადეგომაციო ქარხანას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 19. № 657.
თბილისი.

Распоряжений Правительств
Груз. сер.

ეროვნული ბიბლიოთეკა

П. 578/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმუნებულის № ბ—2030 შეკვ. № 606 ტირაჟი 2000